# ხელშეკრულება № 66
## (გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 16 მაისი 2016 წ

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მის.: ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ.#1 (შემდგომში- შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გამგებლის მალხაზ ლომთაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ. მეწარმე „ლევან ლექვინაძე" (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლების (CPV22100000) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: სერტიფიკატი - 54 ცალი – ერთეულის ფასი 1 (ერთი) ლარი.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 54 (ორმოცდათოთხმეტი) ლარი.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები .

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2016 წლის 17 მაისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 7 დღის განმავლობაში.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი, და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს საქონლის შეცვლა ან/და ზიანის ანაზღაურება.
7.2 შემსყიდველივალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-გადასცეს შემსყიდველს ხარისხიანად და უწყვეტად უნაკლო საქონელი.
- საქონლის გადაცემის პარალელურად გამოწეროს და მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობაზე.
9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივნისამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.

14.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

15. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ #1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს.კ# 222937464

მალხაზ ლომთაძე

**მიმწოდებელი:**
ი/მ "ლევანი ლექვინაძე"
ქ. ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის 6/35
ს/ს "თიბისი ბანკი"
კოდიN: TBCBGE22
ა/ა №GE08TB7354836010100008
ს/კოდი №60003002480

ლევან ლექვინაძე